ოქმი:ო63. 63261872
თარიღი:06/07/2026

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის გასვლითი სხდომის

ო ქ მ ი N 8

3 ივლისი.2026 წელი.

14 საათი.

მიმდინარე წლის 3 ივლისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ჯონი თევზაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის გასვლითი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ჯონი თევზაძე, გიორგი მეიშვილი, ირაკლი მელაშვილი, ტარიელ დვალიშვილი, მაია, ტალაბაძე, ლელა ჩორგოლაშვილი, ლაშა მუქერია, მარიამ ცომაია, როლანდ ეცადეიშვილი, ქიშვარდი ღაღანიძე, მერაბ თევზაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

რიონის ქუჩის მცხოვრებნი- ამირან დახუნდარიძე, სულიკო მსხილაძე, ინეზა თევზაძე, მზია თევზაძე..

დღის წესრიგი:

1. ქ. სამტრედიაში, რიონის ქუჩის ნაწილისთვის თენგიზ მინაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე /

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (11 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის წევრთა (11 ხმით) და დღის წესრიგი იქნა

დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, რიონის ქუჩის მცხოვრებლებს მოახსენა, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ განიხილა რიონის ქუჩის მცხოვრებთა განცხადება.

ჯონი თევზაძე - მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ შემოტანილი განცხადება, სადაც ითხოვთ, რომ რიონის ქუჩის ნაწილს, იქ სადაც ქუჩას კვეთს სარაჯიშვილის ქუჩა, კონკრეტულად ქუჩის მარჯვენა მხარეს მიენიჭოს თენგიზ მინაშვილის სახელი.

მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის ყველა წევრი მხარს უჭერს ერთხმად ზემოაღნიშნულ საკითხს.

კომისიამ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-2 მუხლის ,,დ[1]'' (როგორც საზოგადოებრივი საქმიანობაში მონაწილე პირი) ქვეპუნქტის შესაბამისად, ადგილზე გასვლით შეესწავლათ მოსახლეობის მოთხოვნა.

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა და რიონის ქუჩის მცხოვრებლებმა.

სულიკო მსხილაძე - მოხარული ვიქნებით თუ რიონის ქუჩის ნაწილს, იქ სადაც ქუჩას კვეთს სარაჯიშვილის ქუჩა, კონკრეტულად ქუჩის მარჯვენა მხარეს მიენიჭოს თენგიზ მინაშვილის სახელი.

ინეზა თევზაძე - საწინააღმდეგო არ მაქვს სახელის შეცვლასთან დაკავშირებით, თუმცა არ ვეთანხმები ქუჩის გაყოფას.

მზია თევზაძე - ქუჩის გაყოფას არ ვემხრობი.

ჯონი თევზაძე - აღსანიშნავია ისიც, რომ ხელმომწერთა უმრავლესობა არ ესწრება სხდომას. ხოლო მოსახლეობასთან კონსულტაციით ირკვევა, რომ რიონის ქუჩის მცხოვრებნი არ ეთანხმებით ქუჩის გაყოფას.

დაადგინეს: კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად, (11 ხმით) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნულ საკითხი შეჩერდეს და ეცნობოს განმცხადებელს.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ჯონი თევზაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი